ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4514510

ნომერი: AR1678899

თარიღი : 02.05.2019

გაცემის თარიღი : 24.05.2019

გაცნობის თარიღი : 27.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინათინ ენუქიძე პ/ნ 01008047841
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა, N 1, ბინა 15

ორგანიზაცია:

- შპს "იბერკომპანი" კოდი: 231963818

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, შპს „იბერკომპანი“შ საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების რეკონსტრუქციას (არსებულების ადგილმონაცვლეობა და ახალი სარეკლამო აბრის მოწყობა).

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის საკადასტრო კოდი N 01.14.14.003.149.01.03.002, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019334753 08/05/2019წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, შპს არქი თაუერის შუამდგომლობის 02.052019 წლის წერილი, მესაკუთრის თანხმობა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, შპს „იბერკომპანი“შ საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების რეკონსტრუქციას (არსებულების ადგილმონაცვლეობა და ახალი სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

- სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილ იქნას კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.